პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

СССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 137 (18679) ოთხშაბათი, 15 ივნისი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

გუშინ მოსკოვში მუშაობა დაიწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგმა პლენუმმა, რომელზეც მოხსენებულ იქნა „პარტიის იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის აქტუალური საკითხები“ — გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. კ. უ. ჩერნენკომ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მუშაობას განაგრძობს.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1983 წლის 14 ივნისს მუშაობას შეუდგა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი.

სხდომა გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ი. ვ. ანდროპოვმა.

პლენუმზე მოხსენება — „პარტიის იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის აქტუალური საკითხები“ — გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. კ. უ. ჩერნენკომ.

მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხანაგები ვ. ვ. გრიშინი — სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, დ. ა. კუნაევი — უკაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ვ. შჩერბიცკი — უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ე. ა. შევარდნაძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, პ. ნ. დემიჩევი — სსრ კავშირის კულტურის მინისტრი, ვ. ს. ჩირჩეროვი — „ლენინგრადის ლითონის ქარხნის“ ტურბინმშენებლობის საწარმოო გაერთიანების ამწყობ-ზეინკალთა ბრიგადირი, მ. ზ. შაკიროვი — სკკპ ბაშკირეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ა. პ. ფილატოვი — სკკპ ნოვოსიბირსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, გ. მ. მარკოვი — სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი, ა. ა. ეპიშევი — საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსი, ა. ე. ვოსი — ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მუშაობას განაგრძობს.

პარტიის იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის აქტუალური საკითხები

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს მოხსენება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

ამხანაგებო!

საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნა შეუძლებელია, თუ არ შეიცვალა თვით ადამიანი. და ჩვენი პარტია ხელმძღვანელობს იმით, რომ **ახალი ადამიანის ჩამოყალიბება კომუნისტური მშენებლობის არა მარტო უმნიშვნელოვანესი მიზანი, არამედ აუცილებელი პირობაც არის.**

დიდმა ოქტომბერმა დაამსხვრია სოციალური და სულიერი ბორკილები, საუკუნეთა მანძილზე რომ თრგუნავდა მშრომელი ადამიანების შემოქმედებითს ძალებს. რევოლუციამ მუშათა კლასი დააყენა თანამედროვე ეპოქის ცენტრში, გაათავისუფლა მშრომელი ხალხის გოლიათური აღმშენებლობითი ენერგია. სწორედ აქედან ალებს სათავეებს საბჭოთა ხასიათის საუკეთესო თვისებები.

რევოლუციური ბრძოლისა და რევოლუციური აღმშენებლობის დროს ვეჯაქცდებოდა, იწრთობოდა და იზრდებოდა საბჭოთა ადამიანი — მგზნებარე პატრიოტი და ინტერნაციონალისტი, კომუნიზმის იდეალების სიმართლეში მტკიცედ დარწმუნებული. მისთვის დამახასიათებელია აქტიური მოქალაქეობრივი პოზიცია, მთელი სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეებით სისტხლორცეული დაინტერესება, შრომისადმი ინიციატივიანი, შემოქმედებითი დამოკიდებულება. ერთი სიტყვით, ამხანაგებო, ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს ვფიქრობდეთ, რომ ახალი ადამიანი არა მარტო შორეული იდეალი, არამედ ჩვენი დღეების რეალობაც არის.

ეს მიგვაჩნია ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით განხორციელებული უდიდესი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებების, სოციალისტური დემოკრატიის განვითარებისათვის, მშრომელთა შეგნების კეთილდღეობისა და კულტურის ამაღლებისათვის მისი მუდმივი ზრუნვის შედეგად.

ეს მიგვაჩნია მასებში პარტიის ნიადაგ მზარდი გავლენის, მუშათა კლასთან, გლეხობასთან, ინტელიგენციასთან მისი სულ უფრო მტკიცე კავშირის, პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობის მკაფიო დადასტურებად.

მთელმა ხალხმა დაუჭირა მხარი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებებს, რომლებმაც განაგრძო პარტიის XXVI ყრილობის გეზი, დაადასტურა მისი სამინაო და საგარეო პოლიტიკის მიმკვიდრეობითობა. საბჭოთა კავშირის მშრომელები მხურვალედ იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის — ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის საქმიანობას. მისი მიზანია მთელი სახელმწიფო და სამეურნეო მექანიზმის მუშაობის თანამედროვეზე გაუჯობესება, კადრების პასუხისმგებლობის, ორგანიზებულობისა და დისციპლინის ამაღლება, ჩვენი სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი ზრდა, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუჯობესება.

პარტიას აქვს იდეური ზეგავლენის საშუალებათა მძლავრი, უმდიდრესი არსენალი, ჰყავს მრავალრიცხოვანი, კარგად მომზადებული კადრები, აქვს ყველაფერი, რაც საჭიროა პროპაგანდისა და აღზრდის მაღალი ქმედითობისა და ხარისხის უზრუნველყოფისათვის. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ახალი ადამიანის ჩამოყალიბების პროცესი ისევე უწყვეტი და რთულია, როგორც უწყვეტი და რთულია თვით ცხოვრება. იცვლება შრომისა და ყოფა-ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკური პირობები, სიმწიფის ხანაში შედიან ახალ-ახალი თაობები. და ეს აყენებს ბევრ ახალ ამოცანას, რომლებიც მუდამ პარტიის ყურადღების ცენტრშია. ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 26 აპრილის დადგენილებაში, სკკპ XXVI ყრილობის მასალებში, სხვა პარტიულ დოკუმენტებში განსაზღვრულია თანამედროვე პირობებში იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების მთავარი მიმართულებანი. ჩვენი პლენუმის მიზანი ის არის, რომ განვიხილოთ ამ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობა, მოვითათბიროთ, როგორ წარმართოთ საქმე მომავალში.

სოციალისტური სახელმწიფო, ხაზგასმით აღნიშნავდა ლენინი, ძლიერია მასების შეგნებით. და პარტია დაუცხრომლად ზრუნავს საბჭოთა ადამიანების იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის სრულყოფისათვის. იგი ამ მუშაობას ყოველთვის უკავშირებს კონკრეტულ ისტორიულ ვითარებას, იმ საშინაო და საგარეო პირობებს, რომლებშიც ჩვენი განვითარება მიმდინარეობს.

დღეს პარტია და ხალხი წყვეტენ არნახული მასშტაბის ამოცანებს. ჩვენ ვაბორკეცელებთ უდიდეს კომპლექსურ სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამებს, მათ შორის სასურსათო და ენერგეტიკულ პროგრამებს, ვიღებ ფოთ წარმოების ინტენსიფიკაციის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, სახეს ვუცვლით უზარმაზარ რეგიონებს. მტკიცედ ვიბრძვით იმისათვის, რომ ჩვენი ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის კოლოსალური შესაძლებლობანი, ჩვენი ბუნებრივი რესურსები რაც შეიძლება სრულად და ეფექტიანად გამოიყენებოდეს. და, გასაგებია, რომ იდეოლოგიური მუშაობა უნდა შეესაბამებოდეს ყველა ამ ამოცანას. იმაზე, თუ როგორ შევძლებთ ხალხის სულიერი ენერგიის მობილიზაციას, მისი შრომითი და სოციალური აქტიურობის გადიდებას, ბევრად არის დამოკიდებული ხუთწლიანი გეგმის განხორციელება, ჩვენი წინსვლის ტემპი და, რაღა თქმა უნდა, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება.

თქვენ, ამხანაგებო, კარგად გესმით, რომ თანამედროვე პირობებში პროპაგანდისტული და აღმზრდელობითი მუშაობის ხასიათზე შესამჩნევ ზემოქმედებას ახდენს საერთაშორისო ვითარება. ბოლო ხანს იგი სერიოზულად გამწვავდა. ამერიკის შეერთებული შტატები და მისი ნატოელი მოკავშირენი უაღრესად საშიშ კურსს ადგანან. მისი კლასობრივი აზრი ნათელია: სცადოს შეაფერხოს კაცობრიობის ცხოვრებაში პროგრესული ცვლილებანი, დაიბრუნოს დაკარგული პოზიციები. იმპერიალიზმი, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის იმპერიალიზმი, განიცადა რა 60-70-იან წლებში მთელი რიგი დიდი დამარცხებანი მსოფლიო ასპარეზზე, სულ უფრო მასირებულ, უპრეცედენტო გაქანების შეტევებს ახორციელებს ჩვენი საზოგადოებრივი წყობილების, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის წინააღმდეგ. ცდილობს გონება მოუწამლოს საბჭოთა ადამიანებს, დაამახინჯოს ჩვენი საგარეო პოლიტიკის მიზნები, შეაფერხოს რეალური სოციალიზმის — ხალხთა მშვიდობისა და თავისუფლების საქმის მთავარი ბურჯის — მზარდი გავლენა. მომდინარეობს ორი იდეოლოგიის დაძაბული, ჭეშმარიტად გლობალური ბრძოლა.

ყოველივე ეს მოითხოვს იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსის, მისი ფორმებისა და მეთოდების განახლებას, გამდიდრებას, აქტუალიზაციას, მთელი ჩვენი პროპაგანდის შეტევითობის გაძლიერებას. გადაჭრით უნდა დავძლიოთ ისეთი მოვლენები, როგორიც არის ცხოვრების მწვავე პრობლემებისაგან განზე გადგომა, ფორმალიზმი და პარადულობა. რეალიზმი, ალაბმართლობა და გერგილიანობა, ჩვენი მიღწევების მარჯვე ჩვენება და ადამიანებისათვის საჭირბოროტო საკითხებს გულმოდგინე ანალიზი, აზრის სიმკვირცხლე და ჯადმოცემის სიცხადე — აი, რას უსახავს ორიენტირად იდეოლოგიურ მუშაკებს ცენტრალური კომიტეტი.

მთელი იდეოლოგიური საქმიანობა ხელს უნდა უწყობდეს იმას, რომ ყველგან დავამკვიდროთ მუშაობის ლენინური სტილი, საქმიანი, შემოქმედებითი, ნოვატორული სტილი, რომელიც განმსჯავლულია მაღალი იდეურობით, ყოველივე იმ ჩამორჩენილისადმი შეუწყნარებლობით, რაც ეწინააღმდეგება სოციალისტური მორალის ნორმებს, კოლექტივისტური ცხოვრების ყაიდას.

ჩვენს პლენუმს განსაკუთრებულ ელფერს ანიჭებს ის, რომ იგი მიმდინარეობს წელს, რომელიც სამართლიანად იწოდება კარლ მარქსის, მეცნიერული კომუნიზმის, პროლეტარული იდეოლოგიის ფუძემდებლის წლად. ამ იდეოლოგიის მეცნიერულობა და დემოკრატიზმი, რევოლუციურობა და ჰუმანიზმი ძირეულად განასხვავებს მას ბურჟუაზიული იდეოლოგიისაგან, რომელიც ამართლებს და აკურთხებს იმპერიალიზმის ექსპლოატატორულ წესებსა და აგრესიულ პოლიტიკას, ქადაგებს ნაციონალიზმსა და შოვინიზმს, ბურჟუაზიულის საპირისპიროდ კომუნისტური იდეოლოგია თავისი ჭეშმარიტებითა და პატიოსნებით, მთლიანობითა და ოპტიმიზმით იპყრობს მილიონთა გულსა და გონებას. ეს არის აღმავალი კლასის იდეოლოგია, ახალი საზოგადოების იდეოლოგია, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის იდეოლოგია.

I.

ამხანაგებო! იდეოლოგიური მუშაობის ეფექტიანობა პირდაპირ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ზუსტად ვითვალისწინებთ იმ პერიოდის თავისებურებებს, რომელსაც ქვეყანა განიცდის. ზოგადი ფორმით ეს საკითხი ცხადია. **საბჭოთა საზოგადოებას დაუდგა განვითარებული სოციალიზმის ისტორიულად ხანგრძლივი ეტაპი; მისი ყოველმხრივი სრულყოფა ჩვენი სტრატეგიული ამოცანაა.**

უკვე ამ დებულებებში თვალნათლივ არის გამოხატული ჩვენი განვითარების თანამედროვე სტადიის დიალექტიკა. ეს არის მომწიფებული სოციალიზმის ეტაპი. მაგრამ ეს მხოლოდ ეტაპის დასაწყისია. ერთი მხრივ, ჩვენ წინაშეა დღევანდელი და ხვალინდელი დღის დიდი ამოცანები, მეორე მხრივ, გვაქვს პრობლემები, რომლებიც, ასე თქვათ, გუშინდელმა დღემ დაგვიტოვა.

დიდი წარმატებანია მიღწეული კომუნიზმის პირველი ფაზის ბეგარი ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ამოცანის გადაწყვეტაში. თვალნათლივ ღონიერდება კომუნისტური მომავლის ყლორტები. ამავე დროს ჩვენს წინსვლას აფერხებს უწესივრობა სამეურნეო მექანიზმში, არადამაკმაყოფილებელი შრომის ნაყოფიერება, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში, ადამიანთა ნაწილის არასაკმარისი მოქალაქეობრივი სიმწიფე და დისციპლინიანობა.

გასაგებია, რომ მშრომელთა შეხედულებანი და განწყობილება ყალიბდება არა მარტო ჩვენი მიღწევების, არამედ ნაკლოვანებების, სიძნელეების გავლენითაც. არ შეიძლება არ ვითვალისწინებდეთ ამას. საჭიროა ზუსტად ვხელმძღვანელობდეთ ლენინის იმ მითითებით, რომ პარტიის უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა „ფიზიკურად ადევნებდეს თვალს სწორედ მთელი კლასის (და არა მარტო მისი კომუნისტური ავანგარდის), სწორედ მთელი მშრომელთა მასის (და არა მარტო მისი მოწინავე ადამიანების) შეგნებისა და მოქმედების **ნამდვილ** მდგომარეობას“. მხოლოდ ამ პირობით შეგვიძლია ვიქონიოთ წარმატების იმედი მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში, კომუნისტური აღმშენებლობის საქმეში.

ყოველივე ეს ჩვენ წინაშე აყენებს მთელ რიგ თეორიულ და პრაქტიკულ ამოცანებს. ავიღოთ **თეორიული** ამოცანები.

მარქსისტულ-ლენინური აზრის ბოლოდროინდელ ნამდვილ მიღწევებად სამართლიანად მიგვაჩნია დებულებანი და დასკვნები, რომლებსაც შეიცავს სკკპ XXIV-XXVI ყრილობების, ცენტრალური კომიტეტის პლენუმების მასალები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლები. განვითარებული სოციალიზმის კონცეფციის, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში წარმოების ეფექტიანობის ამაღლების გზების შემუშავება, კომუნიზმის პირველი ფაზის ისტორიული ფარგლებში საზოგადოების უკლასო სტრუქტურის ჩამოყალიბების საკითხის დაყენება, ჩვენი წარმოდგენების გაღრმავება ახლანდელ ეტაპზე ეროვნული საკითხის შინაარსის, საერთაშორისო ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ტენდენციების შესახებ, ომისა და მშვიდობის, სოციალისტური სამშობლოს დაცვის თაობაზე ლენინური მოძღვრების განვითარება — **ეს** და სხვა თეორიული განზოგადებანი აიარაღებს პარტიას ახალი იდეებით, თანამედროვეობის აქტუალური პრობლემებისადმი მეცნიერულად დასაბუთებული, გაგაზრებული მიდგომით.

რა თქმა უნდა, თავის თეორიულ საქმიანობაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ეყრდნობა საბჭოთა ფილოსოფოსების, ეკონომისტების, ისტორიკოსების, სოციოლოგების, იურისტების, ფსიქოლოგების საუკეთესო ნაშრომებს. და მაინც, პარტიისადმი სამეცნიერო დაწესებულებების დახმარება შეიძლებოდა უფრო საფუძვლიანი ყოფილიყო.

მოვიყვან კონკრეტულ მაგალითს. ბევრს მოველოდით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტისა და ცენტრალური ეკონომიკა-მათემატიკის ინსტიტუტისაგან, რომლებიც ჯერ კიდევ 60-იან წლებში შეიქმნა. მაგრამ ვერა და ვერ ვეღირსეთ სოციალური მოვლენებისა და აქტუალური ეკონომიკური პრობლემების საფუძვლიან კონკრეტულ გამოკვლევებს. ამ ინსტიტუტების საქმიანობაში ნათლად გამოვლინდა ნაკლოვანებანი, რომლებიც მეტ-ნაკლებად ახასიათებს ზოგიერთ სხვა სამეცნიერო დაწესებულებებსაც. ეს არის საკუთარი „სადისერტაციო“ და ჯგუფური ინტერესების ნაჭუჭში მოქცევა, წვრილთემიანობა, პარტიული გავლენის სისუსტე. ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილებამ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სექციამ, პარტიულმა ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ კვლევის დაგეგმვისა და ორგანიზაციის, მეცნიერული კოლექტივების მუშაობის სტილისა და მეთოდების საკითხებს.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარების მაგისტრალური მიმართულებით უნდა წყდებოდეს მომწიფებული სოციალიზმის პრობლემატიკა. საქმე ეხება იმას, რომ უკვე მოპოვებულ ჭეშმარიტებათა საფუძველზე ვიაროთ წინ, ამასთან გავიფარეთ ოოოთეორიული ჰორიზონტი, გავიღრმაოთ წარმოდგენა ქვეყნის ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და სულიერი პროგრესის უმნიშვნელოვანეს კანონზომიერებათა შესახებ. საქმე ეხება იმასაც, რომ საბჭოთა საზოგადოების განვითარება, სიმწიფე არ გავიოთ როგორც მისი მთლიანი სრულყოფა, არ გავაიდეალოთ მიღწეული. საჭიროა ყველა საზოგადოებრივი მეცნიერების მთელი მეცადინეობა მოვახმაროთ ჩვენი უახლოესი და პერსპექტიული მიზნების მიღწევის მეთოდებისა და საშუალებების კონსტრუქციულ დამუშავებას.

არანაკლებ მნიშვნელოვანია საგარეო-პოლიტიკური ფაქტორების, საერთაშორისო ურთიერთობების კვლევა. ცხადია, რომ კაცობრიობის მომავალზე კიმუნისტებისათვის დამახასიათებელი ოპტიმისტური შეხედულება ისტორიის პროგრესის გამარტივებულ, სწორხაზოვან გაგებას ვერ დაეფუძნება, ეს გვავალებს ნიადაგ ვწვდებოდეთ საერთაშორისო ასპარეზზე კლასობრივი ძალების თანაფარდობას, ვითვალისწინებდეთ და ვეჭვრეტდეთ მათს გავლენას ჩვენი დღეების მთავარი საკითხის — ომისა და მშვიდობის საკითხის გადაწყვეტაზე. საჭიროა უფრო ღრმად ვაანალიზებდეთ სოციალიზმის ქვეყნებში სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებს, მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის ყოველმხრივ განმტკიცების გზებს, საწარმოო-მონოპოლისტური კაპიტალიზმისა და პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის, მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის, სოციალისტური ორიენტაციის ქვეყნების განვითარების უახლეს თავისებურებებს, თანამედროვეობის გლობალურ პრობლემებს.

ჩემი აზრით, საჭირო არ არის ჩამოვთვალო აქ ყველა ის კონკრეტული პრობლემა, რომლებიც მეცნიერთა უურადღებას მოითხოვს. დავაყენოთ საკითხი უფრო განზოგადებულად: როგორი გვინდა იყოს, თუ ავიღებთ საქმის პრინციპულ მხარეს, გამოკვლევები საზოგადოებათმცოდნეობის დარგში?

ჯერ ერთი, ისინი უნდა გამომდინარეობდეს იმ რეალობიდან, რომელიც არსებობს, მთელი თავისი ბლუსებითა და მინუსებით, უფრო სრულად ავლენდნენ საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ კანონებს.

როგორც ცნობილია, თეორიისა და პრაქტიკისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს წინაალმდეგობებს — საზოგადოებრივი განვითარების მამოძრავებელი ძალის საკითხს. იგი ცუდად როდია დამუშავებული კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდისათვის. დღეს ყოველმხრივ უნდა შევისწავლოთ მომწიფებული სოციალიზმისათვის დამახასიათებელი არაანტაგონისტური წინააღმდეგობანი, საბჭოთა საზოგადოების სულ უფრო მზარდი სოციალურ-პოლიტიკური და იდეური ერთიანობის პირობებში მათი გადაწყვეტის თავისებურებანი. აქ, ისევე როგორც ყოველ სოციალურ ორგანიზმში, მიმდინარეობს ახლისა და ძველის ბრძოლა, მოქმედებენ არა მარტო აღმშენებლობითი, არამედ ნეგატიური ტენდენციებიც. ეს, მაგალითად, არის კუთხურობა და უწყებრიობა, ბიუროკრატიზმი და კონსერვატიზმი. უნდა გამოვავლინოთ ამ და სხვა მსგავსი მოვლენების მიზეზები, გამოვნახოთ მათი დაძლევის საშუალებანი.

მეორე, მეცნიერული დაწესებულებანი უნდა მუშაობდნენ უფრო ოპერატიულად, მოქნილად. ცხოვრება ერთხელ დასახული სქემით როდი ვითარდება, ზდება მოვლენათა მოულოდნელი შემობრუნებანი. წამოიჭრება ასევე მოულოდნელი საკითხები. და უნდა შეგვეძლოს დროზე მივაპყოოთ მათ მეცნიერული ძალების მთელი ყურადღება.

მესამე, დისკუსიებს მეცნიერების კანონებისა და კატეგორიების გამო, მთელი მათი მნიშვნელობის მიუხედავად, არ უნდა ჰქონდეთ თვითმკარი, სქოლასტიკური ხასიათი. პარტია იმედოვნებს, რომ მეცნიერული კვლევის შედეგად უფრო ხშირად განჩდება ხარისხოვანი პრაქტიკული რეკომენდაციები.

მეოთხე, მეცნიერი მუშაკები უნდა მომქმედებდნენ მომავლის მეტი ორიენტაციით, დროულად ამჩნევდნენ მომწიფებულ ტენდენციებს. მზედვლობაში მაქვს საიმედო პროგნოზირება, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს უკეთ განვჭვრიტოთ ხვალინდელი დღე, მივიღოთ დასაბუთებული გადაწყვეტილებანი.

და უმთავრესია ის, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებანი გაუნუხრელად ხელმძღვანელობდნენ რევოლუციური თეორიით, უნაირანად იყენებდნენ მეცნიერული ძიების ნაცად მარქსისტულ-ლენინურ მეთოდოლოგიას. რა თქმა უნდა, ახალმა ფაქტებმა შეიძლება ჩამოყალიბებული შეხედულებების შევსების, დაზუსტების საჭიროება გამოიწვიოს, მაგრამ არის ჭეშმარიტებანი, რომლებიც გადასინჯვას არ ექვემდებარება, პრობლემები, რომლებიც დიდი ხნის წინათ და საბოლოოდ არის გადაწყვეტილი. არ შეიძლება ვრჩებოდეთ მეცნიერების ნიადაგზე და „ვივიწყებდეთ“ მატერიალისტური დიალექტიკის ფუძემდებელ პრინციპებს.

არა გვგონია შეიძლებოდეს მეცნიერულად მივიჩნიოთ კონცეფციები, რომლებიც ადამიანის ისეთ თვისებებს, როგორიცაა, მაგალითად, პატიოსნება, გამბედაობა, წესიერება, ხსნიან „დადებითი“ გენების არსებობით და ფაქტობრივად უარყოფენ, რომ ამ თვისებებს სოციალური გარემო აყალიბებს. ხომ დიდი ხანია ცნობილია, თუ რაოდენ ნაკლებ პროდუქტიულია საზოგადოებრივი მოვლენების დარგში ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის მეცნიერებათა ცნებებისა და მეთოდების მექანიკური გადატანის ცდები, ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთობის გაუბრალოებული განმარტება, რაც, არსებითად, ხელს უშლის საზოგადოებათმცოდნეობასთან ამ მეცნიერებათა ნაყოფიერი თანამშრომლობის განმტკიცებას. ამგვარი მცდარი შეხედულებების დაძლევაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის სწორად დაყენებულ მეცნიერულ კრიტიკას. თეორიულ პოლემიკაში იდეოლოგიური „იარლიყების“ მიწებება, რა თქმა უნდა, დაუშვებელია, მაგრამ ეს სრულებითაც არ გამორიცხავს იმ ნაშრომების პირუთვნელ შეფასებას, რომლებიც ამას იმსახურებენ. მსოფლმხედველობრივი სიზუსტე, თუ გნებავთ, აზროვნების მეთოდოლოგიური დისციპლინა საზოგადოებრივ მეცნიერებათა წარმატებული განვითარების აუცილებელი პირობაა.

ჩვენს მეცნიერებაში მუშაობს ათიათასობით ბრომისმოყვარე, პარტიისა და ხალხის ერთგული ადამიანი. ეს დიდი ძალაა. პარტია დარწმუნებულია, რომ საბჭოთა მეცნიერები კვლავაც მოამზმარენ მთელ ცოდნას, მთელ ნიჭს ჩვენი სოციალისტური საშობლოს სამსახურს.

ამხანაგებო! **განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის იდეა უნდა დიდოს საფუძვლად არა მარტო თეორიულ, არამედ მთელ ცხოვრებისეულ, აღმზრდელობითს მუშაობასაც.**

რატომ მივაპყრობთ ყურადღებას ამას? უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ გარკვეულ პერიოდში, როგორც მოგეხსენებათ, გავრცელებული იყო გამარტივებული წარმოდგენა კომუნიზმის უმაღლეს ფაზაზე გადასვლის გზებისა და ვადების შესახებ. აჩქარებდა რა, ასე თქვათ, ჩვენს ოცნებას, ზოგიერთი თეორეტიკოსი, პროპაგანდისტი თითქოს-და აშანდაკებდა გზის ოღროჩოღოროებს, რომლითაც ჩვენ მივდივართ, მოწყვეტილი იყო ცხოვრების რეალურ პირობებს. ამავე დროს, თუ სრულად და შეგნებულად არ დავძლევთ პროპაგანდის „მოწყვეტას“ სინამდვილისაგან, ვერ მივაღწევთ სიტყვისა და საქმის ერთიანობას, არადა, ეს ხომ ჩვენი ძალისა და ძლიერების უმნიშვნელოვანესი წყაროა.

ჩვენ ბევრ რამეს მივაღწიეთ მიზნის გახორციელებაში, რომელიც კომუნისტების გარდა არავის არასოდეს არ დაუსახავს,— იდეურად მტკიცე, ჰარმონიულად განვითარებული, სულიერად მდიდარი პიროვნების ჩამოყალიბებაში, რომელიც ცხოვრებას აშენებს სოციალური სამართლიანობისა და გონების, სიკეთისა და სილამაზის კანონებით. მაგრამ თვითდაშეიდენის საფუძველი არა გვაქვს. რამეთუ ჩვენი წინსვლის კვალობაზე დღეითადგ იზრდება არა მარტო პიროვნების ყოველმხრივი განვითარების შესაძლებლობანი, არამედ საზოგადოების მხრივ მისდამი მოთხოვნებიც.

ამასთან პარტიას უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია **თითოეულ ადამიანს ჩაუნერგოს შრომის მოთხოვნილება, საერთო კეთილდღეობისათვის კეთილსინდისიერი მუშაობის საჭიროების მკაფიო შეგნება.** და ადამიანის საზოგადოებრივ ბუნებას აღიარებს, მატერიალურ კეთილდღეობას, უწინარეს ყოვლისა, უნდა განსაზღვრავდეს ის, თუ როგორ მუშაობს იგი. აქ მნიშვნელოვა აქვს არა მარტო ეკონომიკურ მხარეს. ნაკლებად მნიშვნელოვანი როდია იდეურ-ზნეობრივი მხარე, შრომაში ხომ ადამიანი არა მარტო ქმნის მატერიალურ ფასეულობებს, არამედ სჭედს კიდეც თავის საუკეთესო თვისებებს, იწრთობს ნებისყოფას, ივითარებს შემოქმედებითს ძალებს, თავს ამკვიდრებს მოკალკედ, კომუნიზმის აქტიურ მშენებლად.

შრომისადმი პატიოსანი, შეგნებული დამოკიდებულება სოციალისტური ცხოვრების წესის საფუძველთა საფუძველია, მაგრამ განა ყველას ახასიათებს იგი? სამწუხაროდ, არა.

შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება და დისციპლინის განმტკიცება ყველა რგოლში და ყველა დონეზე — მუშიდან და კოლმეურნიდან მინისტრამდე, სახელმეკრულებო ვალდებულებათა ზუსტად დაცვა პროდუქციის მიწოდების საკითხში, როგორც ამას ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს, ეკონომიკის აღმავლობის რეალური რეზერვია. მის გამოყენებას შეუძლია მოგვცეს და, როგორც ვხედავთ, გვაძლევს კიდეც მნიშვნელოვან მატერიალურ შედეგს დიდი ხარჯების გაუწევლად. შრომის დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებისათვის პარტიის მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა ცხადყო: შედარებთ მოკლე დროში მიღწეულია შესამჩნევი ძვრა ადამიანთა ნაწილის მოდუნების, შრომითი მოვალეობებისადმი მიუპასუხისმგებლობის დამოკიდებულების ფაქტების დაძლევაში. ამ ღონისძიებებს კმაყოფილებით შეხვდა ხალხი.

იი რას სწერს, მაგალითად, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს სერგო ორჯონიკიძის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის მუშა, სოციალისტური შრომის გმირი ვლადიმერ გრიგოლის ძე კომაროვი:

„ერთბაშად და უცებ როდი დავჯექი ამ წერილის დასაწერად. მისი საბაბი იყო თქვენი გულითადი შეხვედრა ჩვენი ქარხნის მუშებთან. მე, კადრის მუშას, ომის ვეტერანს, ბევრი რამ მინახავს ცხოვრებაში. და, მერწმუნეთ, გული ხარობს იმის გამო, თუ რა ბევრი რამ გავაკეთეთ. კეთილი გარდაქმნები სამდვილად ბევრია. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანიც შეიძლებოდა ყოფილიყო.

უმრავლესობა პატიოსნად შრომობს, როგორც ამას მუშური სინდისი უკარნახებს. მაგრამ ზოგიერთს რომ უყურებ, უხეიროდ მუშაობს, გაცდენაზეც კი არ იტყვის უარს, სამაგიეროდ ხელფასს დღეს სალაროსთან პირველი დგას, თანაც წუწუნებს — ცოტა გამომიწერეთო.

დაკარგა ადამიანმა სინდისი. ნაკლების მიცემა უნდა, მეტის წაგლეჯა კი სურს. არადა, ვის უნდა წაგლეჯოს? სახელმწიფოს, მაშასადამე ჩვენ.

შრომის დისციპლინისა და ორგანიზაციის განმტკიცებისათვის ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გეზი, ხატოვნად რომ ვთქვათ, სწორედ ის სადგურია, რომელზეც მთელი ჩარხი მონტაჟდება: შრომის ნაყოფიერებაც, პროდუქციის ხარისხიც, საბოლოო ანგარიშით კი ჩვენი ცხოვრების დონეც. გულით ვიტყვი — პარტიის გეზი მთლიანად და სავსებით ეზიმიანება ჩვენს აზრებსა და გრძნობებს. ეს ჩვენი მუშური გეზია“.

დარწმუნებული ვარ, ამხანაგებო, რომ ამ წერილს ხელს მოაწერდა ყოველი პატიოსანი მშრომელი!

დისციპლინის განმტკიცება ხანმოკლე კამპანია კი არა, ყოველდღიური გულმოდგინე მუშაობა და წარმატება მაშინ იქნება უზრუნველყოფილი, როცა მასში უშუალოდ მიიღებს მონაწილეობას არა მარტო ადმინისტრაცია, არამედ ყველა მშრომელი, როცა იგი დაიყრდნობა მასების გამოცდილებას, შეგნებასა და მოქალაქეობრივ აქტიურობას.

დისციპლინა და წესრიგი განუყოფელი მხარეებია სოციალისტური დემოკრატიისა, რომელიც ჩვენს ხალხს სახელმწიფოსა და საზოგადოების მართვის ფართო შესაძლებლობებს აძლევს. **დემოკრატიის შემდგომი განვითარება და გაღრმავება პარტიას მშრომელთა კომუნის

პარტიის იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის აქტუალური საკითხები

(გაგრძელება)

ცხოვრების სულ სხვადასხვა სფეროში, მათ შორის უშუალოდ წარმოებაში. წამდგომი სოციალისტური თვითმმართველობის ფორმა გახდა, მაგალითად, ბრიგადის შრომის ისეთი ორგანიზაცია, როგორიცაა ერთიანი განწესიათ მუშაობა. მოსკოვის, კალუგის, დნეპროპეტროვსკის, სვერდლოვსკის, სხვა ქალაქებისა და მთელი რიგი სასოფლო რაიონების საწარმოთა გამოცდილება მოწმობს: მუშაობის ამ ფორმაზე გადასულ კოლექტივებში, როგორც წესი, უფრო დიდია შრომის ნაყოფიერება და მტკიცეა დისციპლინა. აქ ყოველი მუშაკი უფრო გარკვევით ხედავს კავშირს თავის შრომისის წვლილსა და ხელფასს შორის. აქ თვალნათლივ ვლინდება ამხანაგური ურთიერთდახმარების სულისკვეთება, მაღალორგანიზებული სოციალისტური შრომის აღმზრდელობითი ზემოქმედება.

პარტიული კომიტეტების ვალია ნიადაგ ეძებონ მუშა კაცის ინიციატივის განვითარების, წარმოების მართვაში მისი როლის გაზრდის, თითოეული საბჭოთა მოქალაქისათვის ქვეყნის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონის გრძნობის ჩანერგვის გზები. აქ ახალ შესაძლებლობებს სახავს კანონი შრომითი კოლექტივის შესახებ.

შეძენილი გამოცდილება ადასტურებს: იქ, სადაც შრომითი კოლექტივების უფლებანი და შესაძლებლობანი მთლიანად გამოიყენება, არა მარტო უფრო მაღალია საწარმოო მაჩვენებლები, არამედ უფრო წმინდაა მორალური ატმოსფერო, ნაკლებია კანონიერებისა და წესრიგის დარღვევები.

ამხანაგებო! ახალი ადამიანის აღზრდა განუყოფელია ლოთობის, ხულიგნობისა და მუქთახორობის, სპეკულიაციისა და სოციალისტური საკუთრების დატაცების, მექრთამეობისა და მომხვეჭელობის წინააღმდეგ ყველაზე ენერგიული ბრძოლისაგან. სწორი არ იქნებოდა მთელ ამ მახინჯ გამოვლინებებში, რომლებიც მშრომელთა შეშფოთებასა და სამართლიან გულისწყრომას იწვევს, ვხედავდეთ მხოლოდ „წარსულის გადმონაშთებს“ ადამიანების შეგნებასა და ქცევაში.

ბევრი ამ „ბუწუკის“ მიზეზები უნდა ვეძებოთ აგრეთვე დღევანდელ პრაქტიკაში, ამა თუ იმ მუშაკის შეცდომებში, ჩვენი განვითარების რეალურ პრობლემებსა და სიძნელეებში, აღმზრდელობითი საქმიანობის ნაკლოვანებებში. ამიტომ ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრისათვის საჭიროა არა მარტო განუწყვეტელი პროპაგანდისტული მუშაობა, არამედ ეკონომიკური, ორგანიზაციული და სამართლებრივი ღონისძიებებიც.

უნდა შეექმნათ შეუწყნარებლობის ვითარება სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმების ყველა დამრღვევისადმი, პიროვნების მიუხედავად, დავარაზმოთ მათ წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრი. და, რაღა თქმა უნდა, საჭიროა პიროვნების გონივრული მოთხოვნილებების, ინტერესების ჩამოყალიბებისათვის უფრო აქტიური და მიზანმიმართული მუშაობა.

პრაქტიკა ისევ და ისევ გვარწმუნებს, რომ აღზრდის წარმატების უზრუველყოფა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა იგი ემყარება სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მტკიცე საძირკველს. XXVI ყრილობის ამ დებულებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. და პარტიულმა კადრებმა კარგად უნდა იცოდნენ ის სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ადამიანთა განწყობილებასა და ქცევაზე, **უფრო მჯიდროდ უნდა უკავშირებდნენ იდეოლოგიურ მუშაობას საკვანძო სახალხო-სამეურნეო და სოციალურ-პოლიტიკური ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლას.**

უკანასკნელ ხანს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში სერიოზულად, კრიტიკულად გაანალიზეთ პარტიის ორკუტსკის, ტულის, ხმელნიცკისა და ზოგიერთი სხვა საოლქო კომიტეტის საქმიანობა და ამ ანალიზმა ცხადყო, რომ ეკონომიკის განვითარებაში ამ ოლქების ჩამორჩენის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია შრომითის კოლექტივებში იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის შეუფასებლობა, შეცდომები კადრების შერჩევაში, განაწილებასა და აღზრდაში. უდავოა, რომ იდეოლოგიური საქმიანობა თავისთავად ვერ გადაჭრის ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებს. მარტო მას არ უნდა მივაწეროთ მიღწეული წარმატებები და მარტო მას არ უნდა დავბრალოთ არსებული ნაკლოვანებანი. მხოლოდ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის შერწყმა პოლიტიკურ, ორგანიზატორულ და სამეურნეო მუშაობასთან იძლევა საჭირო ეფექტს. ეს მუდამ უნდა ახსოვდეთ როგორც პარტიულ, ისე სამეურნეო ხელმძღვანელებს.

ნათქვამი ეხება ჩვენი საქმიანობის ყოველ უბანს, სახალხო მეურნეობის ყოველ დარგს. განსაკუთრებით თვალსაჩინოა, რომ კომპლექსურად უნდა მივუდგეთ პრობლემათა გადაჭრას სოფლად, სადაც შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები, როგორც წესი, უფრო რთულია. სასოფლო-სამეურნეო შრომა უფრო ენერგიულად უნდა გადავიყვანოთ სამრეწველო საფუძველზე, გავამდიდროთ მისი შინაარსი, აკადემიურთ პრესტიჟულობა. ყველგან უნდა გარდავქმნათ სოფელი, გავაუმჯობესოთ იქ საბინაო, საყოფაცხოვრებო და კულტურული პირობები. სწორედ ამას მიაჯურობენ პარტიული ორგანიზაციები ყურადღებას სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმი, აპრილში ცენტრალურ კომიტეტში გამართული თათბირი, რომელიც სოფლის მეურნეობისა და სასურსათო პროგრამის რეალიზაციის საკითხებს მიეძღვნა. ამ პრობლემების გადაუჭრელად გაგვიჭირდება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კვალიფიციური კადრებით განმტკიცება, ყოველ მეურნეობაში სტაბილური კოლექტივების შექმნა.

ამხანაგებო! ჩვენი მუშაობის უმნიშვნელოვანესი რგოლია **წარმოების ეფექტიანობის გადიდებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლა.** ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს სოციალისტური შეჯიბრება, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობა, ყოველი კოლექტივის, მეცნიერისა და სპეციალისტის მეცადინეობა.

რა წვლილს შეტანა შეუძლია აქ პროპაგანდისა და აღზრდის სისტემას? ფრიად არსებითისა. და, უწინარეს ყოვლისა, შეუძლია აქტიურად **აყალიბოს ეკონომიკური აზროვნების ახალი ტიპი,** რომელიც უზრუნველყოფს ინიციატივასა და სოციალისტურ თაოსნობას, პასუხისმგებლობის ამაღლებას, იმ გზების შემოქმედებითს ძიებას, რომლებსაც უმცირესი დანახარჯები მოაქვთ საუკეთესო საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგი.

ჩვენ ამ „ბუწუკის“ მიზეზები უნდა ვეძებოთ აგრეთვე დღევანდელ პრაქტიკაში, ამა თუ იმ მუშაკის შეცდომებში, ჩვენი განვითარების რეალურ პრობლემებსა და სიძნელეებში, აღმზრდელობითი საქმიანობის ნაკლოვანებებში. ამიტომ ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრისათვის საჭიროა არა მარტო განუწყვეტელი პროპაგანდისტული მუშაობა, არამედ ეკონომიკური, ორგანიზაციული და სამართლებრივი ღონისძიებებიც.

უნდა შეექმნათ შეუწყნარებლობის ვითარება სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმების ყველა დამრღვევისადმი, პიროვნების მიუხედავად, დავარაზმოთ მათ წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრი. და, რაღა თქმა უნდა, საჭიროა პიროვნების გონივრული მოთხოვნილებების, ინტერესების ჩამოყალიბებისათვის უფრო აქტიური და მიზანმიმართული მუშაობა.

პრაქტიკა ისევ და ისევ გვარწმუნებს, რომ აღზრდის წარმატების უზრუველყოფა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა იგი ემყარება სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მტკიცე საძირკველს. XXVI ყრილობის ამ დებულებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. და პარტიულმა კადრებმა კარგად უნდა იცოდნენ ის სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ადამიანთა განწყობილებასა და ქცევაზე, **უფრო მჯიდროდ უნდა უკავშირებდნენ იდეოლოგიურ მუშაობას საკვანძო სახალხო-სამეურნეო და სოციალურ-პოლიტიკური ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლას.**

ეს ამოცანები ასახავენ ეკონომიკური ურთიერთობანი, ეკონომიკური ინტერესები, ეკონომიკური ინიციატივა, ეკონომიკური ეფექტიანობა, ეკონომიკური ინტერესებისადმი ადამიანებისადმი ინდივიდუალური ინტერესებისადმი, ეკონომიკური ინტერესებისადმი ადამიანებისადმი, ეკონომიკური ინტერესებისადმი ადამიანებისადმი, ეკონომიკური ინტერესებისადმი ადამიან

პარტიის იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის აქტუალური საკითხები

(დასასრული)

დიდია ის როლი, რომელსაც ამ ამოცანათა გადაწყვეტაში ასრულებს სკოლის მასწავლებელი. იგი საზოგადოების ნდობით აღჭურვილი პირია ჩვენი შვილების აღზრდაში, პარტიის საიმედო დასაყრდენია აგიტაციასა და პროპაგანდაში, მთელ იდეოლოგიურ საქმიანობაში. ბევრი მოქალაქეობრივი თვისებანი, ამ ცოდნის საწყისები, რომელიც უამრავი წელია ემსახურება ადამიანს, განუყოფელია უკავშირდება სკოლის მასწავლებელთა მუშაობას, ისინი კი, ამხანაგებო, დაახლოებით სამი მილიონი გვყავს. ყოველმხრივ უნდა ავამაღლოთ მასწავლებლის პრესტიჟი და გავუფრთხილდეთ მას, ნიადაგ ვიზრუნოთ მისი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, იდეური და პროფესიული მომზადებისათვის.

არ უნდა იყოს საჭირო იმის მტკიცება, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს პიროვნების უნარის, ნიჭის ადრეულ გამოვლენას, პროფესიის სწორად არჩევას. ამაზე დიდად არის დამოკიდებული შრომის ნაყოფიერებაც, ადამიანის სოციალური აქტიურობაც და, თუ გნებავთ, მისი ბედიც. ამ მხრივ დიდი შესაძლებლობანი აქვს ჩვენს პროფესიულ-ტექნიკურ განაფლების სისტემას. სამწუხაროდ, სკოლებში მას ზზრიად თვლიან ეგრეთწოდებული ძნელი ყმაწვილების თვალად მოცალეთა საშუალებად. ასეთი დამოკიდებულება ვნებს სკოლასაც და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელსაც. საჭიროა ავამაღლოთ სასწავლებლების ავტორიტეტი, განვამტკიცოთ მათი მატერიალური ბაზა და კადრები, გავაუმჯობესოთ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი. მოსაფიქრებელია უმაღლეს სასწავლებლებში შესვლისას მათი კურსდამთავრებულების უფრო ქმედითი შეღავათების სისტემაც.

იმას, თუ რას გვაძლევს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემა, დამაჯერებლად მოწმობს ლენინგრადელთა გამოცდილება. აქ მუშათა კლასის შევსების ძირითად წყაროს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულნი წარმოადგენენ. ისინი, თითქმის ყველანი, დამოუკიდებელი მუშაობის პირველი თვეებიდანვე ასრულებენ დადგენილ ნორმებს და, როგორც წესი, კარგად მკვიდრდებიან შრომითს კოლექტივებში. ახალგაზრდობა სულ უფრო მეტად ეტანება ამ სასწავლებლებს.

როგორ მიაღწიეს ასეთ შედეგებს? უწინარეს ყოვლისა, პარტიის საოლქო კომიტეტის ინიციატივიანი, გააზრებული საქმიანობით, რომელმაც შეძლო უზრუნველეყო სკოლის, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლისა და საწარმოების აწყობილი, საქმიანი ურთიერთობა. ეს გამოცდილება უდავოდ მხარდასაჭერი და გასავრცელებელია.

და კიდევ ერთი ფრიად ძნელბელოვანი საკითხი — უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში **საზოგადოებრივ დისციპლინათა სწავლების იდეური შემოქმედების ამაღლების** საკითხი. ამ დისციპლინების მასწავლებელთა მხარეზე უნდა იყოს არა მარტო მათთვის მინდობილი მეცნიერების ავტორიტეტი, არამედ აგრეთვე საკუთარი იდეური პოზიციის სიზუსტე, მაძიებელი აზრის ზიბლი, პიროვნების ზნეობრივი მიმზიდველობა. ზაზს ვუსვამ, ასე უნდა იყოს-მეთქი. მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველთვის როდია ასე. ჯერ კიდევ ვხვდებით მასწავლებლებს, რომლებიც ლექციებს კითხულობენ სიძველისაგან გაყვითლებული კონსპექტების მიხედვით და ოსტატურად უვლიან გვერდს მწვავე საკითხებს. ასეთი ორატორები, მ. ი. კალინინის მოსწრებული თქმისა არ იყოს, „ჩინებულად აძინებენ აუდიტორიას“.

პირდაპირ უნდა ითქვას: სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ შეასუსტა კონტროლი საზოგადოებათმცოდნეთა კადრების მომზადების, საზოგადოებრივ დისციპლინათა სწავლებისადმი, უმაღლესი სკოლის მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შესრულებისადმი. სრულად ვერ გვაკმაყოფილებს ვერც სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგების სპეციალისტთა მომზადების დონე. მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს. საჭიროა სამინისტროს ხელმძღვანელობამ, პარტიულმა კომიტეტებმა აგრეთვე ნიადაგ იზრუნონ იმისათვის, რომ ყოველი უმაღლესი სასწავლებლის კოლექტივში სუფევდეს შემოქმედებითი ძიების, ურთიერთპატივისცემისა და მომთხოვნელობის ვითარება, კანონიერებისა და მორალის ყოველგვარი დარღვევის შეუწყნარებლობის ატმოსფერო.

ახალგაზრდობის პოლიტიკური, მოქალაქეობრივი, ზნეობრივი თვისებების ჩამოყალიბებაში ბევრს იღვწის კომკავშირი. პარტია კომკავშირს საიმედო თანაშემწედ თვლის და ღირსეულად აფასებს მის დამსახურებას.

მაგრამ ყველა კომკავშირული ორგანიზაცია როდია მათ წინაშე მდგომი ამოცანების მოწოდების სიმაღლეზე. ზოგჯერ ისინი განზე უდგანან საერბოროტო პრობლემების გადაწყვეტას, რომლებიც ნამდვილად აფიქრებს ახალგაზრდობას, ვერ ასწრებენ დროული რეაგირებას ახალ ტენდენციებზე, ახალ გატაცებებზე. ვერ ახერხებენ მათ სათანადო იდეურ მიმართულებას. მუშაობას ხელს უშლის დეზორგანიზებულობა და პარადოქსი აურზაური. არ ჰყოფნით ფაქტი ბოლომდე მიიყვანონ დაწყებული საქმე, მაღალი უკუგებით იმუშაონ არა მარტო საგანგებო პირობებში, არამედ ჩვეულებრივ, სადაც ვითარებაშიც. ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად სერიოზული მუშაობა მართებთ სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, მთელ კომკავშირულ აქტივს.

ლენინს ახალგაზრდობის აღზრდა-განათლების საქმეში უმთავრესად მიაჩნდა კომუნისტური ზნეობის ჩამოყალიბება. საჭიროა უფრო მკაფიოდ წარმოვაჩინოთ ჩვენი კოლექტივისტური მორალის. ნამდვილი ჰუმანიზმი, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვებრძოლოთ სულიერ სიღატაკეს, ეგოიზმს, მეშჩანობას, ჩვენს გარემოში მოტძასნილი უცხო შეხედულებებისა და უცხო ზნის გავრცელების ყოველგვარ ცდას. სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის ბრძოლაში ჩვენ მუდამ გვქონდა და გვაქვს უდავო მორალური უპირატესობა. საბჭოთა საზოგადოების ზნეობრივი ძალა დღესაც ჩვენი წარმატებების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი პირობაა.

კომკავშირის პასუხსაგები ამოცანაა ეზმარებოდეს პარტიას ახალგაზრდობის სამზედრო-პატრიოტული აღზრდის შემდგომ გაუმჯობესებაში. ჩვენ გვაქვს ასეთი მუშაობის შესანიშნავი ტრადიციები. მათ სათუთად უნდა გავუფრთხილდეთ და ვამრავლოთ იმ რეალობათა გათვალისწინებით, რომლებსაც საერთაშორისო მდგომარეობის ამქამინდელი საშიში განვითარება წარმოშობს. ამ საქმეში მუდამ ფასდაუდებელ როლს ასრულებდნენ რევოლუციის, ომისა და შრომის ვეტერანები.

იყო პატრიოტი დღეს — ნიშნავს დაუღალავად განამტკიცებდე საშობლოს ეკონომიკურ, თავდაცვითს პოტენციალს, მზად იყო დაიცვა მშვიდობა იმპერიალისტი აგრესორის ყოველგვარი ხელყოფისაგან, კეთილსინდისიერად ეკიდებოდე მხედრულ მოვალეობებს. საერთოდ ახალგაზრდობა კარგად გადის საარმიო სამსახურს, დაბეჯითებთ ეუფლება თანამედროვე ტექნიკას. ხოლო როცა სამშობლო, ინტერნაციონალური მოვალეობა მოითხოვს, მამაპაპათა მხედრული დიდების ღირს ნამდვილ გმირობას ჩაიდენს.

ჩვენს არმიასა და ფლოტს ხალხი სამართლიანად უწოდებს მამაცობის, შრომისმოყვარეობისა და მაღალი ზნეობის სკოლას. კვლავაც ყოველმხრივ ავამაღლოთ საბჭოთა შეიარაღებული ძალების აღმზრდელობითი როლი.

ამხანაგებო! იდეოლოგიური მუშაობა ჩვენს ქვეყანაში, რომელიც 100-ზე მეტ ერსა და ეროვნებას აერთიანებს, წარმოუდგენელია, თუ **მათი სპეციფიკური ინტერესები, ეროვნული ფსიქოლოგია და კულტურის თავისებურებანი ყურადღებით არ შეისწავლე.** ეროვნული საკითხის იმ სახით გადაჭრა, რა სახითაც გვერგო წარსულისაგან, სულაც არ ნიშნავს, თითქოს ეროვნული საკითხი საერთოდ მოხსნილიყოს დღის წესრიგიდან. გაზრებული, მეცნიერულად დასაბუთებული ეროვნული პოლიტიკა განვითარებული სოციალიზმის სრულყოფისათვის პარტიის საქმიანობის განუყოფელი ნაწილია. მისი წარმატების მთავარი პირობაა მშრომელთა აღზრდა პროლეტარული, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

ამ საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი და ამოცანები განსაზღვრულია XXVI ყრილობის მასალებში, სხვა პარტიულ დოკუმენტებში. თქვენ ისინი კარგად მოგეხსენებათ. მინდა მხოლოდ მოგგაგონოთ, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს, დროულად შეგნებულთ ახალი პოზიტიური ძვრები ეროვნულ ურთიერთობაში, ყოველმხრივ გავაანალიზოთ ერების აყვავებისა და დაახლოების ტენდენციები, გამოვძებნოთ მუშობის ისეთი ფორმები, რომლებიც კიდევ უფრო დიდ ასპარეზს შეუქმნის ჩვენი ხალხების კულტურათა ურთიერთგამდიდრებას. საჭიროა დროულად გამოვავლინოთ აქ წამოჭრილი პრობლემები და წინააღმდეგობანიც, უნარიანად გადაეჭრათ ისინი. ერთი სიტყვით, ინტერნაციონალისტური აღზრდა უნდა წარვმართოთ ფართოდ, მტკიცედ, საქმიანად, არ შემოვიფარგლოთ ფესტივალებით, დეკადებითა და საიუბილეო ვახტებით. აქ მარჯვედ უნდა შევუხამოთ ნამდვილად პარტიული პრინციპულობა უფაქიზეს დელიკატურობას.

საბჭოთა ადამიანების ინტერნაციონალიზმი ყოველთვის აქტიურია. სხვადასხვა ეროვნების ასიათასობით წარმომადგენელი შრომობს დამკვრელურ მშენებლობებზე ყველგან, სადაც ამას მოითხოვს საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესები.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს თავისთავად არ ხდება. გვაქვს, მაგალითად, შრომითი რესურსების რეზერვები ქვეყნის ზოგიერთ რაიონში, მაგრამ მათ მიზიდვას, იმ ადგილებში გაგზავნას, სადაც ისინი დღეს განსაკუთრებით საჭირო არიან, ჯერჯერობით სრულად ვერ ვახერხებთ. ყველამ უნდა მოვიფიქროთ, როგორ გადავჭრათ უკეთ ეს პრობლემა.

ან ავიღოთ ჩვენში დამკვიდრებული ისეთი ფართოდ გავრცელებული პროგრესული მოვლენა, როგორიც არის თავის ეროვნულ ენასთან ერთად თავისუფლად ფლობდე რუსულ ენას — ერთა-შორისი ურთიერთობის ენას. მაგრამ ცოტა როდია ისეთი ფაქტი, როცა რუსული ენის სუსტი ცოდნა ნაკლებად ხელმისაწვდომს ხდის ადამიანისათვის ეზიაროს ინტერნაციონალური კულტურის სიმდიდრეს, ზღუდავს მისი საქმიანობისა და ურთიერთობის შესაძლებლობებს. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ამას წინათ მიიღეს დადგენილება იმ პირობების შექმნის შესახებ, რომლებიც გაუადვილებს ეროვნული რესპუბლიკების მოსახლეობას რუსული ენის შესწავლას. ეს დადგენილება აქტიურად უნდა განვახორციელოთ.

მე ეროვნული ურთიერთობის სფეროში წამოჭრილი პრობლემების მხოლოდ ნაწილს შევეხე. ყველა ეს პრობლემა პარტიული კომიტეტების, საზოგადოებრივი მეცნიერების, იდეოლოგიური აქტივის ყურადღებას მოითხოვს. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ორგანულად შევაერთოთ პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდა, თითოეულს ჩამოვუყალიბოთ ერთაშორისი ურთიერთობის მაღალი კულტურა, ჩვენი საბჭოთა სამშობლოსათვის სიამაყის გრძნობა.

არ შეიძლება შევანელოთ მუშაობა მოსახლეობის ისეთ სპეციფიკურ ჯგუფთანაც, როგორიც არიან მორწმუნენი. რელიგიის გავლენას ჯერ კიდევ განიცდის ადამიანების ნაწილი, და გულახდილად ვთქვათ, არცთუ მცირე ნაწილი. იმპერიალიზმის მრავალრიცხოვანი იდეოლოგიური ცენტრები ისწრაფიან არა მარტო მხარი დაუჭირონ, არამედ დანერგონ კიდეც რელიგიურობა, მიანიჭონ მას ანტისაბჭური, ნაციონალისტური მიმართულება. განსაკუთრებულ იმედს ამყარებენ რელიგიურ ექსტრემისტებზე. ამავე დროს ავრცელებენ მონაჯორს „სსრ კავშირში სინდისის თავისუფლების დარღვევების“ შესახებ.

რა შეიძლება ითქვას ამასთან დაკავშირებით? ჩვენში სინდისის თავისუფლების კონსტიტუციური გარანტიები ყველასთვის ცნობილია. კომუნისტები თანამიმდევრული ათეისტები არიან, მაგრამ თავიანთ მსოფლმხედველობას არავის ახვევენ თავს. ჩვენი მეთოდია განათვება, დარწმუნება, პროპაგანდა. ხოლო როცა ვაწყდებით სოციალისტური კანონების დარღვევის ფაქტებს, ძირგამომთხრელ პოლიტიკურ საქმიანობას, რომელსაც მხოლოდ რელიგიის ნიღაბი აქვს აფარებული, ისე, ვიქცევით, როგორც ჩვენი კონსტიტუცია მოითხოვს.

ათეისტურ მეცნიერებაში მუშაობა ჩვენს ქვეყანაში ფართოდ, მტკიცედ, საქმიანად, არ შემოვიფარგლოთ ფესტივალებით, დეკადებითა და საიუბილეო ვახტებით. აქ მარჯვედ უნდა შევუხამოთ ნამდვილად პარტიული პრინციპულობა უფაქიზეს დელიკატურობას.

საბჭოთა ადამიანების ინტერნაციონალიზმი ყოველთვის აქტიურია. სხვადასხვა ეროვნების ასიათასობით წარმომადგენელი შრომობს დამკვრელურ მშენებლობებზე ყველგან, სადაც ამას მოითხოვს საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესები.

ამ საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი და ამოცანები განსაზღვრულია XXVI ყრილობის მასალებში, სხვა პარტიულ დოკუმენტებში. თქვენ ისინი კარგად მოგეხსენებათ. მინდა მხოლოდ მოგგაგონოთ, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს, დროულად შეგნებოთ ახალი პოზიტიური ძვრები ეროვნულ ურთიერთობაში, ყოველმხრივ გავაანალიზოთ ერების აყვავებისა და დაახლოების ტენდენციები, გამოვძებნოთ მუშობის ისეთი ფორმები, რომლებიც კიდევ უფრო დიდ ასპარეზს შეუქმნის ჩვენი ხალხების კულტურათა ურთიერთგამდიდრებას. საჭიროა დროულად გამოვავლინოთ აქ წამოჭრილი პრობლემები და წინააღმდეგობანიც, უნარიანად გადაეჭრათ ისინი. ერთი სიტყვით, ინტერნაციონალისტური აღზრდა უნდა წარვმართოთ ფართოდ, მტკიცედ, საქმიანად, არ შემოვიფარგლოთ ფესტივალებით, დეკადებითა და საიუბილეო ვახტებით. აქ მარჯვედ უნდა შევუხამოთ ნამდვილად პარტიული პრინციპულობა უფაქიზეს დელიკატურობა.

ახალგაზრდობის ინტერნაციონალური სადგომის დაკავების ორდერის ფორმას და სამსახურებრივი სადგომის ქირავნობის ტიპობრივ ხელშეკრულებას აშტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომებით სარგებლობისათვის გამოიყენება წესები საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების შესახებ, გარდა ამ კოდექსის 71-73-ე, 77-78-ე და 96-98-ე მუხლებისა.

მუხლი 116. გამოსახლება სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომებიდან

მუშები და მოსამსახურენი, რომელთაც შეწყვეტეს შრომითი ურთიერთობა საწარმოსთან, დაწესებულებასთან, ორგანიზაციასთან, აგრეთვე მოქალაქენი, რომლებიც გაირიცხნენ კოლმეურნეობის წევრობიდან ან გავიდნენ კოლმეურნეობიდან საკუთარი სურვილით, გამოსახლებულ უნდა იქნენ სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომებიდან მათთან ერთად მცხოვრები ყველა პირითურთ სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად.

მუხლი 117. მოქალაქენი, რომელთა გამოსახლება სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომებიდან არ დაიშვება სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად

სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომებიდან სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად არ შეიძლება გამოსახლებულ იქნენ:

1) ომის ინვალიდები და სხვა ინვალიდები სამხედრო მოსამსახურეთაგან, რომლებიც დაინვალიდნენ სსრ კავშირის დაცვის ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულების დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიის ან დასახიჩრების შედეგად, ანდა ფრონტზე ყოფნასთან დაკავშირებული დაავადების შედეგად;

2) დიდი სამამულო ომის მონაწილენი, რომლებიც მოქმედი არმიის შემადგენლობაში იმყოფებოდნენ, იმ სამხედრო მოსამსახურეთა და პარტიზანთა ოჯახები, რომლებიც დაიღუპნენ ან უგზოუკვლოდ დაიკარგნენ სსრ კავშირის დაცვის ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულების დროს;

3) სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახები;

4) ინვალიდები სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების რიგითთა და უფროსთა შემადგენლობის პირთაგან, რომლებიც დაინვალიდნენ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიის ან დასახიჩრების შედეგად;

5) პირნი, რომელთაც სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომის მიმცემ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში იმუშავეს არანაკლებ ათი წლისა;

6) იმ თანამდებობიდან განთავისუფლებული პირნი, რომელთან დაკავშირებითაც მათ მიეცათ საცხოვრებელი სადგომი, მაგრამ არ შეუწყვეტიათ შრომითი ურთიერთობა ამ სადგომის მიმცემ საწარმოსთან, დაწესებულებასთან;

7) საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ლიკვიდაციის ანდა მუშაკთა რიცხვისა თუ შტატის შემცირების გამო დათხოვნილი პირნი;

8) მოხუცებულობის გამო პენსიონერები, პერსონალური პენსიონერები;

9) იმ გარდაცვლილი მუშაკის ოჯახის წევრები, რომელსაც მიცემული ჰქონდა სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომი;

10) I და II ჯგუფის შრომის ინვალიდები და I და II ჯგუფის ინვალიდები სამხედრო მოსამსახურეთა და მათთან გათანაბრებულ პირთაგან;

11) მარტოხელა პირნი მათთან ერთად მცხოვრები არასრულწლოვანი შვილებითურთ.

თავი მეოთხე

საერთო საცხოვრებლებით სარგებლობა

მუხლი 118. საერთო საცხოვრებლები

მუშათა, მოსამსახურეთა, სტუდენტთა, მოსწავლეთა, აგრეთვე სხვა მოქალაქეთა მუშაობის ან სწავლის პერიოდში ბინადრობისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს საერთო საცხოვრებლები. ზაერთო საცხოვრებლებისათვის გამოიყენება ამ მიზნით სპეციალურად აშენებული ან გადაკეთებული საცხოვრებელი სახლები. საერთო საცხოვრებლები კომპლექტდება ავეჯით, საოჯახო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოხმარების სხვა საგნებით, რომლებიც საჭიროა საერთო საცხოვრებლებში მყოფ მოქალაქეთა ცხოვრების, მეცადინეობისა და დასვენებისათვის.

სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად სანიმუშო დებულებას საერთო საცხოვრებლების შესახებ ამტკიცებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, სსრ კავშირის სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები შესაბამის პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანოებთან შეთანხმებით.

მუხლი 119. საერთო საცხოვრებლებში საცხოვრებელი ფართობის მიცემის და სარგებლობის წესი

საერთო საცხოვრებლებში საცხოვრებელი ფართობის მიცემისა და სარგებლობის წესს განაზოგადებს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

საერთო საცხოვრებელში ფართობი ეძლევათ მუშებს, მოსამსახურეებს, სტუდენტებს, მოსწავლეებსა და სხვა მოქალაქეებს მათი მუშაობის ან სწავლის პერიოდისათვის საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის, პროფკავშირის კომიტეტისა და კომკავშირის კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით, საერთო საცხოვრებელში საცხოვრებელი ფართობის დაკავების სპეციალურ ორდერს.

საერთო საცხოვრებელში საცხოვრებელი ფართობის მიცემის შესახებ გადაწყვეტილების საფუძველზე ადმინისტრაციის გასცემს საერთო საცხოვრებელში საცხოვრებელი ფართობის დაკავების სპეციალურ ორდერს.

საერთო საცხოვრებელში საცხოვრებელი ფართობის დაკავების ორდერის ფორმას აწესებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

ვადიან სამხედრო სამსახურში გაწვევასთან დაკავშირებით საერთო საცხოვრებლიდან წასულ პირებს კვლავ უნდა მიეცეთ საცხოვრებელი ფართობი საერთო საცხოვრებელში იმ შემთხვევაში, თუ ისინი სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ დაუბრუნდებიან ამავე საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას ან სასწავლებელს.

მუხლი 120. გამოსახლება საერთო საცხოვრებლებიდან

თავი მეხუთე

მოქალაქეთა უზრუნველყოფა საცხოვრებელი სადგომებით საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლებში და ამ სადგომებით სარგებლობა

მუხლი 121. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლებში საცხოვრებელი სადგომის მიღების უფლება

საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეებს უფლება აქვთ გახდნენ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრები და მიიღონ ამ კოოპერატივში ბინა.

მუხლი 122. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებში შესვლის მსურველ მოქალაქეთა აღრიცხვის წესი

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივში შესვლის მსურველ მოქალაქეთა აღრიცხვის წესს ადგენს სსრ კავშირის კანონმდებლობა, ეს კოდექსი და საქართველოს სსრ სხვა კანონმდებლობა.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებად შეიძლება მიღებულ იქნენ 18 წლის ასაკს მიღწეული პირნი, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ მოცემულ დასახლებულ პუნქტში (თუ სხვა რამ არ არის დადგენილი სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით), და რომლებსაც ესაჭიროებათ საბინაო პირობების გაუმჯობესება (ამ კოდექსის 36-ე მუხლი).

მუხლი 124. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის ორგანიზაცია და საქმიანობა

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები იქმნება სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან, საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებში, ორგანიზაციებში ბევრ ადგილას ეგზისტენციალურ, ეროვნულ-ენგელს-ლენინის უკვდავ იდეებს.

არ არის და არც შეიძლება იყოს ამაზე უფრო ეკეთილშობილური ამოცანა, ვიდრე ადამიანებს ვაცნობდეთ კომუნიზმის იდეალებს, მარქს-ენგელს-ლენინის უკვდავ იდეებს.

არ არის და არც შეიძლება იყოს ამაზე უფრო საპატიო ამოცანა, ვიდრე ის, რომ თითოეული ადამიანი აღვამაღლოთ საკუთარი ბედის შემოქმედის, ისტორიის შემოქმედის დონემდე.

ნება მიბოძეთ პოლიტბიუროს სახელით გამოვთქვა რწმენა, რომ პლენუმის დროს, ამხანაგების გამოსვლებში ღრმად და ყოველმხრივ იქნება განხილული იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის აქტუალური საკითხები, განზოგადდება შეძენილი გამოცდილება, და, რაც მთავარია, კოლექტიურად იქნება დასახული ჩვენ წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებული გადაწყვეტის კონკრეტული გზები. სწორედ ეს იქნება ის განწყობა, რომლისთვისაც მოგვიწოდებს ი. ვ. ანდროპოვი, — განწყობა საქმისათვის და არა მაღალფარდოვანი სიტყვებისათვის. **(ხანგრძლივი ტაში).**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საბინაო კოდექსი

თავი მესამე

სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომებით სარგებლობა

მუხლი 112. სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომების დანიშნულება

სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომები განკუთვნილია იმ მოქალაქეთა ჩასახლებისათვის, რომლებიც თავიანთი შრომითი ურთიერთობის ხასიათის გამო მუშაობის ადგილზე ან მის მახლობლად უნდა ცხოვრობდნენ. საცხოვრებელი სადგომი სამსახურებრივ საცხოვრებელ სადგომთა რიცხვში შეიტანება სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით. სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომებისთვის გამოიყოფა, როგორც წესი, ცალკე ბინები.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლებში საცხოვრებელი სადგომები სამსახურებრივ სადგომთა რიცხვში შეიძლება იქნენ მხოლოდ კოოპერატივის წევრთა საერთო კრების თანხმობით.

მუხლი 113. იმ კატეგორიების მუშაკთა ნუსხა, რომელთაც შეიძლება მიეცეთ სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომები

იმ კატეგორიების მუშაკთა ნუსხას, რომელთაც შეიძლება მიეცეთ სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომები, ადგენს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომები შეიძლება მიეცეთ ცალკეულ კატეგორიათა სამხედრო მოსამსახურეებს.

დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“, № 136.

მუხლი 114. სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომები კოლმეურნეობათა კუთვნილ სახლებში

კოლმეურნეობათა კუთვნილ სახლებში საცხოვრებელი სადგომების შეტანა სამსახურებრივ საცხოვრებელ სადგომთა რიცხვში (მათ შორის იმ სახლებშიც, რომლებშიც ჩასახლება მოხდა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლებს შორის შემოღებამდე), და იმ კატეგორიების მუშაკთა ნუსხის დადგენა, რომელთაც შეიძლება მიეცეთ ასეთი სადგომები, ხდება კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების ან რწმუნებულთა კრების გადაწყვეტილებით, რომელსაც ამტკიცებს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

მუხლი 115. სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომების მიცემისა და სარგებლობის წესი

სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომების მიცემისა და ამ სადგომებით სარგებლობის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის კანონმდებლობა, ეს კოდექსი და საქართველოს სსრ სხვა კანონმდებლობა.

გადაწყვეტილებას სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომის მიცემის შესახებ იღებენ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია, კოლმეურნეობის გამგეობა, სხვა კოოპერაციული ორგანიზაციების, მათი გაერთიანებების, მმართველობის ორგანოები, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორგანოები, ჯარის ნაწილის სარდლობა, რომელთა გამგებლობაშიც არის სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომები. მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი მოქალაქეს აძლევს სპეციალურ ორდერს.

სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომის დაკავების ორდერის ფორმას და სამსახურებრივი სადგომის ქირავნობის ტიპობრივ ხელშეკრულებას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომებით სარგებლობისათვის გამოიყენება წესები საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების შესახებ, გარდა ამ კოდექსის 71-73-ე, 77-78-ე და 96-98-ე მუხლებისა.

მუხლი 116. გამოსახლება სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომებიდან

მუშები და მოსამსახურენი, რომელთაც შეწყვეტეს შრომითი ურთიერთობა საწარმოსთან, დაწესებულებასთან, ორგანიზაციასთან, აგრეთვე მოქალაქენი, რომლებიც გაირიცხნენ კოლმეურნეობის წევრობიდან ან გავიდნენ კოლმეურნეობიდან საკუთარი სურვილით, გამოსახლებულ უნდა იქნენ სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომებიდან მათთან ერთად მცხოვრები ყველა პირითურთ სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად.

მუხლი 117. მოქალაქენი, რომელთა გამოსახლება სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომებიდან არ დაიშვება სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად

სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომებიდან სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად არ შეიძლება გამოსახლებულ იქნენ:

1) ომის ინვალიდები და სხვა ინვალიდები სამხედრო მოსამსახურეთაგან, რომლებიც დაინვალიდნენ სსრ კავშირის დაცვის ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულების დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიის ან დასახიჩრების შედეგად, ანდა ფრონტზე ყოფნასთან დაკავშირებული დაავადების შედეგად;

2) დიდი სამამულო ომის მონაწილენი, რომლებიც მოქმედი არმიის შემადგენლობაში იმყოფებოდნენ, იმ სამხედრო მოსამსახურეთა და პარტიზანთა ოჯახები, რომლებიც დაიღუპნენ ან უგზოუკვლოდ დაიკარგნენ სსრ კავშირის დაცვის ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულების დროს;

3) სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახები;

4) ინვალიდები სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების რიგითთა და უფროსთა შემადგენლობის პირთაგან, რომლებიც დაინვალიდნენ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიის ან დასახიჩრების შედეგად;

5) პირნი, რომელთაც სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომის მიმცემ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში იმუშავეს არანაკლებ ათი წლისა;

6) იმ თანამდებობიდან განთავისუფლებული პირნი, რომელთან დაკავშირებითაც მათ მიეცათ საცხოვრებელი სადგომი, მაგრამ არ შეუწყვეტიათ შრომითი ურთიერთობა ამ სადგომის მიმცემ საწარმოსთან, დაწესებულებასთან, ორგანიზაციასთან;

7) საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ლიკვიდაციის ანდა მუშაკთა რიცხვისა თუ შტატის შემცირების გამო დათხოვნილი პირნი;

8) მოხუცებულობის გამო პენსიონერები, პერსონალური პენსიონერები;

9) გარდაცვლილი მუშაკის ოჯახის წევრები, რომელსაც მიცემული ჰქონდა სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომი;

10) I და II ჯგუფის შრომის ინვალიდები და I და II ჯგუფის ინვალიდები სამხედრო მოსამსახურეთა და მათთან გათანაბრებულ პირთაგან;

11) მარტოხელა პირნი მათთან ერთად მცხოვრები არასრულწლოვანი შვილებითურთ.

თავი მეოთხე

საერთო საცხოვრებლებით სარგებლობა

**მუხლი 118. საერთო საცხოვრებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

საბინაო კოდექსი

ეროვნული

(დასასრული)

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების ორგანიზაციისა და საქმიანობის წესს ადგენს სსრ კავშირის კანონმდებლობა, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდება და საქართველოს სსრ სხვა კანონმდებლობა.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდებას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი მოქმედებს იმ წესდების საფუძველზე, რომელიც მიღებულია კოოპერატივში შემსვლელ მოქალაქეთა საერთო კრების მიერ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდების შესაბამისად, და რომელიც რეგისტრირებულია დადგენილი წესით.

სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დამტკიცებულ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივში შემსვლელთა სიაში შეტანილი მოქალაქენი ამ კოოპერატივის წევრებად ითვლებიან წესდების რეგისტრაციის დროიდან, ხოლო მოქმედ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივში მიღებული მოქალაქენი მის წევრებად ითვლებიან სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ კოოპერატივის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილების დამტკიცების დღიდან.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები მათი კუთვნილი საცხოვრებელი სახლების ექსპლუატაციას და რემონტს ახორციელებენ ხარჯდაფარვადობის საწყისებზე.

მუხლი 125. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების კონტროლი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების საქმიანობისადმი

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ახორციელებენ კონტროლს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების საქმიანობისადმი, მათი კუთვნილი სახლების ექსპლუატაციისა და რემონტისადმი. სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს უფლება აქვს გაიუქმოს კოოპერატივის საერთო კრების ან გამგეობის გადაწყვეტილება, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონმდებლობას.

მუხლი 126. სახელმწიფოს დახმარება საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებისადმი

სახელმწიფო დახმარებას უწევს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებს მათი კუთვნილი სახლების ექსპლუატაციისა და რემონტში, აგრეთვე საცხოვრებელი სადგომებით სამშენო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა უზრუნველყოფაში კაპიტალური რემონტის დროისათვის, როცა რემონტი ვერ ჩატარდება ამ სახლებში მცხოვრებ მოქალაქეთა გამოუსახლებლად.

მუხლი 127. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივისათვის ახალი ბინის ნაცვლად ტოლფასოვანი საცხოვრებელი სახლის მიცემა

თუ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის კუთვნილი სახლი უნდა აიღონ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფასთან დაკავშირებით, კოოპერატივს ასაღები სახლის ნაცვლად ეძლევა საკუთრებაში ტოლფასოვანი საცხოვრებელი სახლი.

მუხლი 128. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრისათვის საცხოვრებელი სადგომის მიცემა

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრად მიღებულ პირს კოოპერატივის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, რომელიც დამტკიცებულია სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, ეძლევა ერთ ან რამდენიმეოთახიანი ცალკე ბინა ოჯახის წევრთა რაოდენობის, მისი სპეციალური შენატანი თანხისა და საცხოვრებელი ფართობის ზღვრული ოდენობის შესაბამისად, რაც განთავლისწინებულია საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდებით.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სახლის ბინებში ჩასახლება ხდება სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის მიერ გაცემული ორდერების საფუძველზე. ორდერის გაცემაზე უარის თქმა შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლო წესით.

მუხლი 129. კოოპერატივის წევრის მიერ საცხოვრებელი სადგომის გაცვლა

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრს უფლება აქვს მასთან ერთად მცხოვრები ოჯახის წევრთა თანხმობით, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვით გაცვალოს დაკავებული საცხოვრებელი სადგომი კოოპერატივის სხვა წევრთან ან სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლში საცხოვრებელი სადგომის დამქირავებელ ლ ი თ ან, მათ შორის სხვა დასახლებულ პუნქტში მცხოვრებთან იმ პირობით, თუ პირი, რომელიც საცხოვრებელ სადგომს ცვლის, კოოპერატივის წევრი გახდება. გაცვლისას დაცულ უნდა იქნეს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდებით და სხვა კანონმდებლობით დადგენილი წესები.

თუ კოოპერატივის წევრი და მისი ოჯახის წევრები ვერ შეთანხმდებიან გაცვლის თაობაზე, მაშინ კოოპერატივის წევრს, აგრეთვე მისი ოჯახის წევრს, რომლის უფლება საპაიო დანაგროვის ნაწილზე ცნობილია, შეუძლიათ სასამართლო წესით მოითხოვონ დაკავებული სადგომის იძულებითი გადაცვლა სადგომებზე სხვადასხვა სახლებში (ბინებზე).

გაცვლა არ დაიშვება ამ კოდექსის 79-ე მუხლში აღნიშნულ შემთხვევებში.

მუხლი 130. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სახლში საცხოვრებელი სადგომის გაყოფა

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრს უფლება აქვს მასთან ერთად მცხოვრები ოჯახის წევრთა თანხმობით, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვით გაცვალოს დაკავებული საცხოვრებელი სადგომი ნაწილებად, ხოლო მთელი ოჯახის დროებით სხვაგან წასვლის შემთხვევაში — მთელი საცხოვრებელი სადგომი.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სახლში გაქირავებული საცხოვრებელი სადგომის გადასახდელის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გამქირავებლის მიერ გადასახდელ ამ საექსპლუატაციო ხარჯებს, რაც გასაქირავებელ სადგომზე მოდის.

მუხლი 132. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივიდან გარიცხვა

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრი კოოპერატივიდან შეიძლება გაირიცხოს იმ შემთხვევებში, როცა:

1) წარმოადგინა სინამდვილის შეუსაბამო მონაცემები, რაც მისი კოოპერატივში შესვლის საფუძველი გახდა, აგრეთვე კოოპერატივის წევრად მიღების საკითხის გადაწყვეტისას თანამდებობის პირთა არამართლზომიერი მოქმედების გამო;

2) სისტემატურად ანგრევს ან აფუჭებს საცხოვრებელ სადგომს ან იყენებს მას არადანიშნულებისამებრ, ან სისტემატურად არღვევს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს, რის გამოც სხვებისათვის შეუძლებელი ხდება მასთან ერთ ბინაში ან ერთ სახლში ცხოვრება, თუ გამაფრთხილებელი ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომები უშედეგო აღმოჩნდა;

3) სისტემატურად აქირავებს საცხოვრებელ სადგომს არაშრომითი შემოსავლის მიღების მიზნით;

4) საბინაო სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

გარიცხვის წესს ადგენს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წესდება. კოოპერატივის წევრობიდან გარიცხვის შესახებ საერთო კრების გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლო წესით.

მუხლი 133. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სახლიდან გამოსახლება

კოოპერატივიდან გარიცხული საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრი, მასთან ერთად მცხოვრებ ყველა პირებითურთ კოოპერატივის სახლიდან გამოსახლებულ უნდა იქნენ სასამართლო წესით, სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად.

კოოპერატივის სახლში საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლება კოოპერატივის წევრობიდან გარიცხულ პირთა ოჯახის წევრებს ენახებათ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წესდებით გათვალისწინებული წესების შესაბამისად ერთ-ერთი მათგანის კოოპერატივში შესვლის პირობით.

სხვა პირები შეიძლება გამოსახლებულ იქნენ კოოპერატივის სახლის საცხოვრებელი სადგომიდან საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდებით და ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 134. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრის უფლება-მოვალეობათა განსაზღვრა

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრის, აგრეთვე მისი ოჯახის წევრების უფლება-მოვალეობანი, საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის პირობები და სარგებლობის შეწყვეტის საფუძვლები განისაზღვრება კოოპერატივის წესდებით.

მუხლი 135. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის საქმიანობის შეწყვეტა

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის საქმიანობის შეწყვეტა ხდება საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდებით, აგრეთვე საქართველოს სსრ სხვა კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

თავი მეექვსე

ინდივიდუალური საბინაო ფონდის სახლების საცხოვრებელი სადგომებით სარგებლობა

მუხლი 136. პირადი საკუთრების უფლებით მოქალაქის კუთვნილი საცხოვრებელი სახლით სარგებლობა

მოქალაქენი, რომელთაც პირად საკუთრებაში აქვთ საცხოვრებელი სახლი (სახლის ნაწილი), ამ სახლით სარგებლობენ პირადი ბინადრობისა და თავიანთი ოჯახის წევრთა ბინადრობისათვის. მათ უფლება აქვთ შეასახლონ სახლში სხვა მოქალაქენი, აგრეთვე გააქირაონ იგი იმ პირობებითა და წესით, რომლებსაც ადგენს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

პირადი საკუთრების უფლებით მოქალაქის კუთვნილი საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ზღვრულ ოდენობას, აგრეთვე საერთო წილობრივ საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლით სარგებლობის წესს ადგენს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი.

მუხლი 137. მოქალაქის პირად საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლის დაცვა-შენახვის უზრუნველყოფა

მოქალაქენი, რომელთაც პირად საკუთრებაში აქვთ საცხოვრებელი სახლი, მოვალენი არიან უზრუნველყონ მისი დაცვა-შენახვა, თავიანთი ხარჯით ჩაატარონ მიმდინარე და კაპიტალური რემონტი, წესიერ მდგომარეობაში იქონიონ სახლისპირა ტერიტორია.

თუ მოქალაქე ცუდად უვლის მის კუთვნილ სახლს, არაფრად მიიჩნევს მის ნგრევას, წარმოშობა შედეგები, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსით.

მუხლი. 138. სახელმწიფოს ხელშეწყობა მოქალაქეთა კუთვნილი სახლების რემონტსა და კეთილმოწყობაში

მოქალაქეებს, რომელთაც პირად საკუთრებაში აქვთ საცხოვრებელი სახლები, სახელმწიფო ხელს უწყობს მათს რემონტსა და კეთილმოწყობაში. მოქალაქეთა კუთვნილი სახლების რემონტი მათი სურვილისამებრ შეიძლება ჩაატარონ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებმა.

მუხლი 139. ადგილობრივი საბჭოების კონტროლი მოქალაქეთა კუთვნილი სახლების მოვლა-პატრონობისადმი

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ახორციელებენ კონტროლს მოქალაქეთა კუთვნილი სახლების მოვლა-პატრონობისადმი.

მუხლი 140. პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლის მქონე მოქალაქეთა უფლებების გარანტიები

მოქალაქეთა პირად საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლები არ შეიძლება მათ ჩამოერთვათ. მესაკუთრეს არ შეიძლება ჩამოერთვას საცხოვრებელი სახლით სარგებლობის უფლება, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც დადგენილია სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით.

მუხლი 141. საცხოვრებელი სახლის მესაკუთრის ოჯახის წევრთა უფლება-მოვალეობანი

მესაკუთრის ოჯახის წევრთა წრე განისაზღვრება ამ კოდექსის 62-ე მუხლის შესაბამისად.

მესაკუთრის ოჯახის წევრებს, რომლებიც მან ჩაისახლა თავის სადგომის გაყოფა კოოპერატივის წევრსა და მის მეუღლეს შორის დაიშვება მათი განქორწინების შემთხვევაში, თუ პაი მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებაა და თუ შესაძლებელია თითოეულ მათგანს გამოეყოს იზოლირებული საცხოვრებელი სადგომი მათ მიერ დაკავებულ ბინაში.

თუ საცხოვრებელი სადგომი შედგება არაიზოლირებული მომიჯნავე ოთახებისაგან, გაყოფა შეიძლება მოხდეს მათი იზოლირებულად გადაკეთების პირობით, თუ საცხოვრებელი სადგომის გადაკეთებასა ან გადაგებებზე არის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის ნებართვა.

დავა საცხოვრებელი სადგომის გაყოფის თაობაზე გადაწყდება სასამართლო წესით.

მუხლი 142. მოქალაქეთა კუთვნილ სახლებში საცხოვრებელი სადგომების ქირავნობის ხელშეკრულების დადება

მოქალაქეს, რომელსაც პირად საკუთრებაში აქვს საცხოვრებელი სახლი, უფლება აქვს მიაქიროს ეს სახლი ან სახლის ნაწილი სხვა მოქალაქეს.

საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულებას დამქირავებელი უდებს სახლის მესაკუთრეს წერილობით. ვადა, რომლითაც იდება ხელშეკრულება, და საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის სხვა პირობები განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 143. პირადი საკუთრების უფლებით მოქალაქეთა კუთვნილ სახლებში საცხოვრებელი სადგომებით სარგებლობის ქირა და კომუნალური მომსახურების გადახახდელი

პირადი საკუთრების უფლებით მოქალაქეთა კუთვნილი სახლების საცხოვრებელი სადგომებით სარგებლობის ქირა დგინდება მხარეთა შეთანხმებით, მაგრამ იგი არ უნდა აღემატებოდეს ზღვრულ განაკვეთებს, რომლებიც ამ სახლებისათვის არის დადგენილი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ.

კომუნალური მომსახურების გადასახადელი, საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის ქირის გარდა, გადახდევინებულ იქნება დადგენილი წესით დამტკიცებული ტარიფების მიხედვით.

საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის ქირისა და კომუნალური მომსახურების გადასახელის შეტანის ვადები განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

მუხლი 144. არაშრომითი შემოსავლის მიღების მიზნით საცხოვრებელი სადგომის გაქირავების შედეგები

თუ მესაკუთრე არაშრომითი შემოსავლის მიღების მიზნით სისტემატურად აქირავებს საცხოვრებელ სახლს (ან სახლის ნაწილს) წარმოშობს შედეგები, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსით.

მუხლი 145. დამქირავებლის მიერ თავისი ოჯახის წევრთა ჩასახლების უფლება

პირადი საკუთრების უფლებით მოქალაქეთა კუთვნილი სახლების საცხოვრებელი სადგომებით სარგებლობის ქირა დგინდება მხარეთა შეთანხმებით, მაგრამ იგი არ უნდა აღემატებოდეს ზღვრულ განაკვეთებს, რომლებიც ამ სახლებისათვის არის დადგენილი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ.

კომუნალური მომსახურების გადასახადელი, საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის ქირის გარდა, გადახდევინებულ იქნება დადგენილი წესით დამტკიცებული ტარიფების მიხედვით.

საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის ქირისა და კომუნალური მომსახურების გადასახელის შეტანის ვადები განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

მუხლი 146. დამქირავებლის ოჯახის წევრთა უფლება-მოვალეობანი

დაქირავებულ სადგომში დადგენილი წესით ჩასახლებული დამქირავებლის ოჯახის წევრები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ და აკისრიათ თანაბარი მოვალეობანი ქირავნობის ხელშეკრულებით.

სხვა პირნი, რომლებიც დამქირავებლის მიერ ჩასახლებული არიან როგორც მისი ოჯახის წევრები, იძენენ დამქირავებლისა და მისი ოჯახის დანარჩენ წევრთა თანაბარ უფლებებს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისა, თუ ჩასახლებისას მათ შორის არ ყოფილა სხვაგვარი შეთანხმება.

მუხლი 147. პირადი საკუთრების უფლებით მოქალაქის კუთვნილ სახლში დაქირავებული საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების შენარჩუნება

დამქირავებელი და მისი ოჯახის წევრები მათი დროებითი არყოფნის დროს ინარჩუნებენ საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლებას ამ კოდექსის 69-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 148. ქირავნობის ხელშეკრულების შეცვლა

პირადი საკუთრების უფლებით მოქალაქეთა კუთვნილ სახლებში ქირავნობის ხელშეკრულების შეცვლა დაიშვება მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით, იმ შემთხვევების გარდა, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 145-ე მუხლის პირველი ნაწილით.

დამქირავებლის გარდაცვალების შემთხვევაში სახლის მესაკუთრე მოვალეა დარჩენილი ვადისათვის დაუდოს ქირავნობის ხელშეკრულება ნაქირავებ სადგომში მცხოვრებ გარდაცვლილის ოჯახის ერთ-ერთ წევრს.

მუხლი 149. პირადი საკუთრების უფლებით მოქალაქეთა კუთვნილ სახლებში საცხოვრებელი სადგომების გაცვლა

პირადი საკუთრების უფლებით მოქალაქის კუთვნილ სახლში საცხოვრებელი სადგომის დამქირავებელს უფლება აქვს მესაკუთრის თანხმობით გადაცვალოს დაკავებული საცხოვრებელი სადგომი ამ სახლში ან პირადი საკუთრების უფლებით მოქალაქის კუთვნილ სხვა სახლში მეორე დამქირავებლის მიერ დაკავებულ საცხოვრებელ სადგომზე ქირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობათა ურთიერთგადაცემით.

საცხოვრებელი სადგომის გასაცვლელად საჭიროა წერილობითი თანხმობა დამქირავებელთან ერთად მცხოვრებ მისი ოჯახის წევრთა, მათ შორის დროებით სხვაგან მყოფი წევრებისა, რომლებსაც უნარჩუნდებათ საცხოვრებელი ფართობის უფლება.

საცხოვრებელი სადგომის გაცვლის თანხმობაზე მესაკუთრის უარს დამქირავებელი ვერ გაასაჩივრებს სასამართლო წესით.

მუხლი 150. კაპიტალური რემონტის დროს დამქირავებლის გამოსახლება

პირადი საკუთრების უფლებით მოქალაქის კუთვნილი სახლის კაპიტალური რემონტის აუცილებლობისას, თუ რემონტი არ შეიძლება ჩატარდეს სახლში მცხოვრებ პირთა გამოუსახლებლად, სახლის მესაკუთრეს უფლება აქვს მოითხოვოს დამქირავებლის გამოსახლება.

მოქალაქე, რომელსაც პირადი საკუთრების უფლებით ეკუთვნის სახლი, არ არის ვალდებული კაპიტალური რემონტის დროს მიაცეს დამქირავებელს სხვა სადგომი.

თუ დამქირავებელი უარს ამბობს საცხოვრებელი სადგომის დაცლაზე, სახლის მესაკუთრეს უფლება აქვს მოითხოვოს მისი გამოსახლება სასამართლო წესით.

რემონტის დამთავრების შემდეგ სახლის მესაკუთრე მოვალეა მისცეს გამოსახლებულთ წინათ დაკავებული ან მისი ტოლფასოვანი სადგომი თავის კუთვნილ სახლში, იმ შემთხვევების გარდა, როცა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დამტკიცებული სახლის გადაკეთების გეგმის შესაბამისად საცხოვრებელი სადგომი, რომელიც დამქირავებელს ეკავა, უქმდება.

მუხლი 151. სადგომის გაქვექირავნობა და დროებით მდგმურთა ჩასახლება

სადგომის გაქვექირავნობა, აგრეთვე დროებით მდგმურთა ჩასახლება დასაშვებია მხოლოდ სახლის მესაკუთრის თანხმობით.

დამქირავებლის, ქვეშქირავნისა და დროებით მდგმურთა თანხმობა მიმართ, რომლებიც სახლის მესაკუთრის ნებართვით არიან ჩასახლებულნი, შესაბამისად გამოიყენება ამ კოდექსის 87-ე, 88-ე და 90-92-ე მუხლებით დადგენილი დებულებები.

მუხლი 152. დამქირავებლის უფლება — განაახლოს საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება

პირადი საკუთრების უფლებით მოქალაქის კუთვნილ სახლში საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ დამქირავებელს უფლება აქვს განაახლოს ხელშეკრულება.

სახლის მესაკუთრეს უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულების განახლებაზე, თუ ამის შესახებ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე სამი თვით ადრე გააფრთხილებს დამქირავებელს და სადგომი საჭიროა სახლის მესაკუთრისა და მისი ოჯახის წევრთა ცხოვრებისათვის, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ დამქირავებელი სისტემატურად არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოვალეობებს. დავის წარმოშობისას საკითხი გადაწყდება სასამართლო წესით.

დამქირავებელს არ აქვს უფლება მოითხოვოს ხელშეკრულების განახლება, თუ ხელშეკრულება დადებულია არა უმეტეს ერთი წლის ვადით და ითვალისწინებს ვალდებულებას, რომ სადგომი დაიცლება ამ ვადის გასვლისას.

მუხლი 153. საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების მოშლა დამქირავებლის მიერ

პირადი საკუთრების უფლებით მოქალაქის კუთვნილ სახლში საცხოვრებელი სადგომის დამქირავებელს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მომალოს საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება.

ამ შემთხვევაში, როდესაც დამქირავებელი და მისი ოჯახის წევრები მუდმივ საცხოვრებლად გადადიან სხვა ადგილას, საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება გადასვლის დღიდან მოშლილად ითვლება.

მუხლი 154. საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების მოშლა მესაკუთრის მოთხოვნით

მესაკუთრეს შეუძლია მოშალოს საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება მხოლოდ ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

განუსაზღვრელი ვადით დადებული საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება შეიძლება მოიშალოს მესაკუთრის მოთხოვნით, თუ სასამართლო დადგენს, რომ სადგომი პირადი სარგებლობისათვის სჭირდებათ თვით სახლის მესაკუთრეს და მისი ოჯახის წევრებს, და თუ შესაკუთრე სამი თვით ადრე გააფრთხილებს დამქირავებელს ხელშეკრულების მოშლის შესახებ. ასეთ შემთხვევაში დამქირავებელი გამოსახლებულ უნდა იქნეს სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად.

ამ შემთხვევაში, როდესაც დამქირავებელს სისტემატურად არ შეაქვს ბინის ქირა და კომუნალური მომსახურების გადასახდელი, აგრეთვე ამ კოდექსის 109-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ საფუძველზე მესაკუთრეს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა.

ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში დამქირავებელი, რომელიც უარს ამბობს დაცალოს სადგომი, გამოსახლებულ უნდა იქნეს მასთან მცხოვრებ ყველა პირთან ერთად სასამართლო წესით სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად.

მუხლი 155. სხვა პირზე სახლის საკუთრების უფლების გადასვლის დროს საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების შენარჩუნება ან მოშლა

როდესაც ამ სახლის (სახლის ნაწილის) საკუთრების უფლება, რომელშიც გაქირავებული სადგომია, გადადის სხვა პირზე, ქირავნობის ხელშეკრულება ძალაში რჩება მასში აღნიშნული ვადის გასვლამდე.

თუ ქირავნობის ხელშეკრულება დადებულია ვადის აღუნიშნავად, სახლის ახალ მესაკუთრეს შეუძლია მოშალოს იგი ამ კოდექსის 152-ე და 154-ე მუხლებში აღნიშნულ საფუძველზე და წესით.

მუხლი 156. მოქალაქეთა კუთვნილი სახლების საცხოვრებელი სადგომით სამეხდღეშოო სარგებლობის უფლება

პირადი საკუთრების უფლებით მოქალაქის კუთვნილ სახლში საცხოვრებელი სადგომით სამეხდღეშოო სარგებლობის უფლება, აგრეთვე ამ სადგომით სარგებლობის პირობები და წესი განისაზღვრება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსით.

მუხლი 157. იმ მოქალაქეთა საცხოვრებელი სადგომებით უზრუნველყოფა, რომელთა სახლები აღებულ უნდა იქნეს მიწის ნაკვეთების ჩამორთმევასთან დაკავშირებით

იმ შემთხვევაში, როდესაც მოქალაქეთა პირად საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლები უნდა აღებულ იქნეს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების ჩამორთმევასთან დაკავშირებით, ამ მოქალაქეებს, მათი ოჯახების წევრებს, აგრეთვე ამ სახლებში მუდმივად მცხოვრებ სხვა მოქალაქეებს დადგენილი ნორმების ბინები სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში. გარდა ამისა, საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეებს მათი არჩევანისამებრ ან აუნაზღაურდებათ ასაღები სახლების, ნაგებობებისა და მოწყობილობის ღირებულება, ანდა ეძლევათ უფლება გამოიყენონ თავიანთი შეხედულებისამებრ ამ სახლების, ნაგებობებისა და მოწყობილობის დაშლის შედეგად დარჩენილი მასალა. მოქალაქეთა სურვილისამებრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები უზრუნველყოფენ მათ (ბინის მიცემის ნაცვლად) იმ შესაძლებლობით, რომ რიგგარეშე შევიდნენ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებად და მიიღონ ამ კოოპერატივებში ბინები.

მოქალაქეთა სურვილისამებრ შეიძლება მათი კუთვნილი ასაღები სახლებისა ნაგებობები გადატანილ და აღდგენილ იქნეს ახალ ადგილზე.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად სახელმწიფო საბინაო ფონდის ექსპლუატაციისა და რემონტს (უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად) ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებში ახორციელებენ ერთიანი საბინაო საექსპლუატაციო და ერთიანი სარემონტო-სამშენებლო სამსახურები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 158. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ფონდის სახლებისა და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლების ტექნიკური მომსახურება და რემონტი

სახელმწიფო საბინაო-საექსპლუატაციო და სარემონტო-სამშენებლო სამსახურები ახორციელებენ ხელშეკრულებით სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საბინაო-საექსპლუატაციო და სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციებს.

კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სოფლად განლაგებული სხვა საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს ეკუთვნით საცხოვრებელი სახლების ექსპლუატაციისა და რემონტს ახორციელებენ მათი საბინაო-საექსპლუატაციო და სარემონტო-სამშენებლო სამსახურები. ასეთი სამსახურების უქონლობის შემთხვევაში აღნიშნული სახლების ექსპლუატაციისა და რემონტს ახორციელებენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციათა სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვის დროს.

მუხლი 159. საბინაო ფონდის დაცვა-შენახვის უზრუნველყოფა

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებანი, ორგანიზაციები, თანამდებობის პირნი მოვალენი არიან იზრუნონ საბინაო ფონდის დაცვა-შენახვისა და კეთილმოწყობისათვის.

საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, რომელთა ბალანსზეც არიცხება საბინაო ფონდი, ეკისრებათ პასუხისმგებლობა მისი დაცვა-შენახვისათვის.

მუხლი 160. გამქირავებლის მოვალეობანი საბინაო ფონდის დაცვა-შენახვის უზრუნველყოფაში

გამქირავებელი მოვალეა დროზე შეარემონტოს საცხოვრებელი სახლები, უზრუნველყოს სახლებისა და საცხოვრებელი სადგომების სანიტარიულ-მოწყობილობის შეუფერხებელი მუშაობა, სადარბაზოების, საერთო სარგებლობის სხვა ადგილებისა და სახლისპირა ტერიტორიის სათანადო მოვლა-პატრონობა.

საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტი, საცხოვრებელი სახლების სანიტარიულ მოწყობილობის მუშაობაში უწესივრობის აღმოფხვრა და საცხოვრებელი სადგომების მიმდინარე რემონტი, რაც გამქირავებელმა უნდა უზრუნველყოს, ხორციელდება საბინაო ფონდის ტექნიკური ექსპლუატაციის წესებისა და ნორმების შესაბამისად.

გადაუდებელი საჭიროებით გამოწვეულ შემთხვევებში გამქირავებლის მიერ რემონტის მოვალეობათა შეუსრულებლობა საცხოვრებელი სახლის დამქირავებელს უფლებას აძლევს ჩაატაროს რემონტი და ჩათვალოს მისი ღირებულება ბინის ქირის ანგარიშში.

მუხლი 161. მოქალაქეთა მოვალეობანი საცხოვრებელი სახლების დაცვა-შენახვის უზრუნველყოფაში

მოქალაქენი მოვალენი არიან უზრუნველყონ საცხოვრებელი სადგომების დაცვა-შენახვა, მზრუნველად მოეკიდონ სანიტარიულ-ტექნიკურ და სხვა მოწყობილობას, კეთილმოწყობის ობიექტებს, დაიცვან საცხოვრებელი სახლისა და სახლისპირა ტერიტორიის მოვლა-პატრონობის წესები, სახანძრო უსაფრთხოების წესები, სისუფთავე და წესრიგი სადარბაზოებში, ლიფტის კაბინებში, საკიბურებზე და საერთო სარგებლობის სხვა ადგილებში.

სადგომით სამეხდღეშოო სარგებლობის უფლება

პირადი საკუთრების უფლებით მოქალაქის კუთვნილ სახლში საცხოვრებელი სადგომით სამეხდღეშოო სარგებლობის უფლება, ამ სადგომით სარგებლობის პირობები და წესი განისაზღვრება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსით.

მუხლი 157. იმ მოქალაქეთა საცხოვრებელი სადგომებით უზრუნველყოფა, რომელთა სახლები აღებულ უნდა იქნეს მიწის ნაკვეთების ჩამორთმევასთან დაკავშირებით

იმ შემთხვევაში, როდესაც მოქალაქეთა პირად საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლები უნდა აღებულ იქნეს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების ჩამორთმევასთან დაკავშირებით, ამ მოქალაქეებს, მათი ოჯახების წევრებს, აგრეთვე ამ სახლებში მუდმივად მცხოვრებ სხვა მოქალაქეებს დადგენილი ნორმების ბინები სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში. გარდა ამისა, საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეებს მათი არჩევანისამებრ ან აუნაზღაურდებათ ასაღები სახლების, ნაგებობებისა და მოწყობილობის ღირებულება, ანდა ეძლევათ უფლება გამოიყენონ თავიანთი შეხედულებისამებრ ამ სახლების, ნაგებობებისა და მოწყობილობის დაშლის შედეგად დარჩენილი მასალა. მოქალაქეთა სურვილისამებრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები უზრუნველყოფენ მათ (ბინის მიცემის ნაცვლად) იმ შეს